

შპს „ჯი დი სი სი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის ანგარიში

2017 წ. 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება:

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1	ზოგადი ინფორმაცია	6
2	ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები	6
3	ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	13
4	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
5	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	28
6	ამონაგები	29
7	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	29
8	დისტრიბუციის ხარჯები	29
9	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	30
10	მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	30
11	გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	31
12	ძირითადი საშუალებები	32
13	მარაგი	33
14	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	33
15	მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი	35
16	ფული და ფულის ეკვივალენტები	36
17	საწესდებო კაპიტალი	36
18	ნასესხები თანხები	37
19	საიჯარო ვალდებულება	38
20	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	38
21	ფინანსური ინსტრუმენტები	39
22	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები	45
23	ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები	46
24	საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	46

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ჯი დი სი სის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) სამართლიანად წარადგენს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შპს „ჯი დი სი სის“ (შემდეგში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფლადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის;
- მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნება, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმეს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობები ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ ჩატარებული მისი აუდიტის ანგარიშს).

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ვალდებული ვართ წავიკითხოთ „მმართველობის ანგარიშგება“ და განვსაზღვროთ, „მმართველობის ანგარიშგება“ ხომ არ არის არსებითად არათანმიმდევრული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ჩვენი ცოდნისა, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

შპს ფრანსკოთერპაუსკუპერი-საქართველო; მეფე დავითის ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. 12, საქართველო 0160, თბილისი, Tel: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლეტაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლეთ აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა დავვეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

მომზადებულია შპს ფრაისვოთერჰაუსკუპერი-საქართველოსათვის და მისი სახელით (Reg.# SARAS-F-775813)

[ხელმოწერა]

ლაშა ჯანელიძე (Reg.#SARAS-A-562091)

2018 წლის 10 დეკემბერი

საქართველო, თბილისი

GDCC LLC
Statement of Profit or Loss and other Comprehensive Income

(Figures in the tables are In thousands of Georgian Lari)

	შენიშ ვნები	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე
ამონაგები	6	22,471	13,624
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(17,378)	(10,893)
მთლიანი მოგება		5,093	2,731
დისტრიბუციის ხარჯები	8	(2,856)	(1,700)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,249)	(577)
ფინანსური დანახარჯები		(192)	(604)
სავალუტო ზარალი		(338)	(45)
სხვა ხრჯები		(498)	(53)
სხვა შემოსავალი		6	349
დაბეგვრამდე (ზარალი) / მოგება		(32)	101
მოგების გადასახადი	10	(26)	(122)
წლის / პერიოდის ზარალი		(60)	(21)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის / პერიოდის სრული ზარალი		(60)	(21)

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2018 წლის 10 დეკემბერს.

 დავით ხურციძე
 გენერალური დირექტორი

 ანა საათაშვილი
 ფინანსური მენეჯერი

GDCC LLC
Statement of Financial Position
(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)

	შენიშვნები	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	996	391
არამატერიალური აქტივები		31	30
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,027	421
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგი	13	3,118	4,604
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14	5,992	5,348
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი	15	38	132
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	85	644
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,233	10,728
სულ აქტივები		10,260	11,149
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	7,587	7,587
დაგროვილი ზარალი		(81)	(21)
სულ საკუთარი კაპიტალი		7,506	7,566
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	19	379	24
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		379	24
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	18	1,283	2,018
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	19	232	11
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20	743	1,356
გადასახდელი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	11	114	52
გადასახდელი მოგების გადასახადი		3	122
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,375	3,559
სულ ვალდებულებები		2,754	3,583
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,260	11,149

The accompanying notes on pages 8 to 32 are an integral part of these financial statements.

GDCC LLC**Statement of Changes in Equity***(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)*

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 25 აპრილისთვის		-	-	-
სულ პერიოდის სრული ზარალი		-	(21)	(21)
აქციონერის შენატანები		7,587		7,587
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	17	7,587	(21)	7,566
სულ წლის სრული ზარალი		-	(60)	(60)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	17	7,587	(81)	7,506

GDCC LLC
Statement of Cash Flows
(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)

	შენიშ ვნები	2017 წ. დასრულე ბული წელი	2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
დაბეგვრამდე მოგება / (ზარალი)		(32)	101
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		123	32
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	14	78	93
ზარალი მარაგის ჩამოწერიდან		449	2
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		19	80
სავალუტო ზარალი		338	45
ფინანსური დანახარჯი		192	604
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		1,167	957
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაზრდა		(722)	(5,451)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების შემცირება / (გაზრდა)		94	(132)
მარაგის შემცირება / (გაზრდა)		1,037	(4,606)
მოგების გარდა გადასახდელი გადასახადების გაზრდა		62	52
ვალდებულების გაზრდა		-	34
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების (შემცირება) / გაზრდა		(890)	1,374
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		748	(7,771)
გადახდილი მოგების გადასახადი		(146)	-
გადახდილი პროცენტი		(721)	(75)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(119)	(7,847)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(758)	(538)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		7	5
საიჯარო ვალდებულებების გადახდილი ავანსი		547	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(204)	(533)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები თანხებიდან	18	20,609	6,011
ნასესხები თანხების დაბრუნება	18	(20,815)	(4,522)
კაპიტალის შენატანი აქციონერების მიერ		-	7,587
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(206)	9,077
<i>სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის კვივალენტებზე</i>		(30)	(53)

The accompanying notes on pages 8 to 32 are an integral part of these financial statements.

GDCC LLC**Statement of Cash Flows***(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)*

ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის/პერიოდის დასაწყისში	16	644	-
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის/პერიოდის დასასრულს	16	85	644

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი დი სისი“ (შემდეგში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2016 წლის 25 აპრილს, კოსმეტიკური, სასურსათო და სხვა სამომხმარებლო საქონლის საქართველოში იმპორტისა და დისტრიბუციის მიზნით. კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა და თბილისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 406175936. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, მოსკოვის გამზირი 31ბ.

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა მომწოდებლების პროდუქციის ფართო სპექტრის იმპორტსა და დისტრიბუციას. კომპანია სხვადასხვა რეგიონში ოთხ საწყობს ქირაობს საქართველოს ტერიტორიაზე სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, ისევე როგორც ჰიპერმარკეტების მოსამარაგებლად.

კომპანიამ განაგრძო საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის ბიზნესი - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - რომელმაც 2016 წელს რეორგანიზაცია განახორციელდა. 2016 წლის მაისში შპს „ქართულმა მარკეტინგულმა-სადისტრიბუციო კომპანიამ“ სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქტების მარაგი და სვაჭრო დებიტორული დავალიანება გაიყიდა შპს „ჯიდისისიზე“. შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქციის მომწოდებლებთან ხელმოწერილი შეთანხმებები შეწყდა და მათთან ახალი შეთანხმებები გააფორმა შპს „ჯიდისისიმ“.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და სააქციო კაპიტალის 100%-ის მფლობელი იყო "KUGO Investments Limited" (საიდენტიფიკაციო კოდი: HE354672, მისამართი: კვიპროსი, ნიქოზია, იფიგენიას ქ. # 48a CY2007).

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 173 და 146, შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, თბილისი, მოსკოვის გამზირი #25.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყო.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის ძირითადი საკითხებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები,

რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.

- **2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)**
- ფას 9-ით შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხონ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საოპერაციო დონეზე გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფას 9-ში მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებას და ბასს 39-ის მოთხოვნების გამოყენებას შორის, ყველა ჰეჯირებისათვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს სტანდარტი მაკრო ჰეჯირების აღრიცხვას არ ეხება.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულის (FVPL) კლასიფიკაციის მქონე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნებადია საკრედიტო რისკზე და აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ახალი სტანდარტით შემოღებულია ასევე განვრცობილი გამჟღავნების მოთხოვნები და ცვლილებები წარდგენაში. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული განაპირობებს კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი შენიშვნების ხასიათისა და მოცულობის ცვლილებას, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

ფასს 15 - მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამორჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულისების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მიიღება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი.

ცვლილებები ფასს 15-ში - მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს კომპანია ძირითად საწარმოს წარმოადგენს (საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე კომპანიისათვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს 15-ში მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად კომპანიამ არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც კომპანია გამოიყენებს ფასს 15-ს.

კომპანია გეგმავს ნებადართული გამარტივებული გარდამავალი პერიოდის პრაქტიკული მეთოდის გამოყენებას. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად გამოიყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც არ არის დასრულებული მისი თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კომპანიის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობების და იმ აფქტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს 15-ის მიღების შედეგად მოსალოდნელი ძირითადი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

- კონტრაქტების ცვლილებების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი საქმიანობის შედეგების მოვალეობები,
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- მომხმარებელთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა,
- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),
- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის გაფორმებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

ხელმძღვანელობა არ მოელის იმ თანხების შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს 15-ის საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი შეხედულება და შესაძლებელია, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები განსხვავდებოდეს მისგან.

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გაქვდავების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ

მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფაისკ 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებას ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასი 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შესწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა.

საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

მოსალოდნელი არ არის, რომ ქვემოთ მოცემულმა ბუღალტრული აღრიცხვის ახალმა ოფიციალურმა დოკუმენტებმა არსებითი გავლენას იქონიოს კომპანიაზე:

- აქტივების გაყიდვა ან შენატანები ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის იმ თარიღით ან მას შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისათვის, რომელსაც განსაზღვრავს ბასს).
- ცვლილებები ფასს 2-ში - წილობრივი გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 9-ის,- ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს 4-თან - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ცვლილებები ფასს 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის ალტერნატივას აირჩევს).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა - ცვლილებები ბასს 40-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გადახდილი ავანსების მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გრძელვადიანი წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში – ცვლილებები ბასს 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შემდეგი შეცვლილი სტანდარტები, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- გამჟღავნების ინიციატივა – ცვლილებები ბასს 7-ში (გამოცემულია 2016 წლის 29 იანვარს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი გამჟღავნებები ასახულია მე-20 შენიშვნაში.
- გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებული ზარალისთვის – ცვლილებები ბასს 12-ში (გამოცემულია 2016 წლის 19 იანვარს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 12-ში, რაც ასახულია ფასს-ების წლიური გაუმჯობესების 2014-2016 წწ. ციკლში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით. პირვანდელი ღირებულება ძირითადად ემყარება აქტივების სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას, მიუხედავად იმისა, ეს ფასები ბაზარზე უშუალოდ დაკვირვებადია თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების რეალური

ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს აქტივისა და ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ შეფასების თარიღით აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის რეალური ღირებულების შეფასება კლასიფიცირდება 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის ჯგუფებად, რაც განისაზღვრება რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული ინფორმაციის დაკვირვებადობისა და მთლიანად რეალურ ღირებულებაში მისი მნიშვნელობის საფუძველზე, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

- 1-ლი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, რომლის მიღება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღით;
- მე-2 დონის ინფორმაცია არის 1-ელ დონეში გამოყენებული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია; და
- მე-3 დონის ინფორმაცია დაკვირვებადი არ არის მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის.

არსებული საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი. როგორც 1-ელ შენიშვნაში იყო მითითებული, კომპანია აგრძელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - რომელმაც რეორგანიზაცია განახორციელა 2016 წელს, ბიზნესს. ბიზნესის გადაცემა, რომელშიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები მონაწილეობდნენ, აღირიცხა არსებული საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით, რომელიც პერსპექტიულად იქნა გამოყენებული - ანუ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსურ შედეგებს ბიზნესის გადაცემის თარიღიდან.

ამ მეთოდის მიხედვით აქტივები და ვალდებულებები გადაცემულ იქნა წინამორბედი მფლობელი კომპანიის საბალანსო ღირებულებით. წინამორბედი კომპანია - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - მიიჩნევა უმაღლეს საანგარიშგებო საწარმოდ, რომელმაც განახორციელა ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდირება. გადაცემული წმინდა აქტივების ფასს-ის შესაბამის საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი იურიდიული დოკუმენტებით გადაცემისათვის მიღებულ კომპენსაციას შორის სხვაობა აღირიცხება კაპიტალში, გაუნაწილებელი მოგების კორექტირების მეშვეობით.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის რალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებულ მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია საქონლის გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, როდესაც იჯარის პირობებით საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში ხარჯებში წრფივი მეთოდით აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვა სისტემური საფუძველი, რომელიც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის დროის განმავლობაში მოხმარების უფრო რეპრეზენტაციულია. საოპერაციო იჯარის ფარგლებში წარმოქმნილი პირობითი იჯარა ხარჯის სახით აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

საოპერაციო საიჯარო ურთიერთობის დაწყებისთვის წახალისების მიღების შემთხვევაში იგი აღიარდება ვალდებულების სახით. ამ წახალისების მთლიანი სარგებელი წრფივი მეთოდით აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვა სისტემური საფუძველი, რომელიც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის დროის განმავლობაში მოხმარების უფრო რეპრეზენტაციულია.

ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილი აქტივები თავდაპირველად კომპანიის აქტივების სახით

აღიარდება საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას მათი რეალური ღირებულებით, ან, თუ ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადახდების დისკონტირებული ღირებულებით. მეიჯარისადმი შესაბამისი ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური იჯარის ვალდებულების სახით.

საიჯარო გადახდები გადანაწილდება ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის, ისე რომ, მიღწეულ იქნეს ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე მუდმივი საპროცენტო განაკვეთი. ფინანსური ხარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის პირდაპირ მიკუთვნებადია კვალიფიციურ აქტივზე, როდესაც ის კაპიტალიზდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ კომპანიის საერთო პოლიტიკის შესაბამისად.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**უცხოური ვალუტა**

საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებული ვალუტით (უცხოური ვალუტა) განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
USD/GEL	2.5922	2.6468
EUR/GEL	3.1044	2.7940

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი / (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარებოდა წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან დაკავშირებული იყო იმ ოპერაციებთან, რომლებიც ასევე სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარდა იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადია თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენდა არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარებოდა, როდესაც

არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფსურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებელ შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის; (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის

დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

შემდეგ კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ გაუმჯობესებებსა და ჩანაცვლებებზე გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც ზრდიან აქტივების მომსახურების ვადას ან მათ მიერ ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. რემონტი და საექსპლუატაციო დანახარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს, გაწევისას აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	ცვეთის განაკვეთები
სატრანსპორტო საშუალებები	20%
საოფისე ინვენტარი	20%
მარკეტინგის მოწყობილობები	50%
სხვა	20%

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთადი ღრებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის ინდეტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში.

გაუფასურების ზარალის ანულირება მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

მარაგი

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში- პირველი გასავალში“ (FIFO)მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები. მომწოდებლები კომპანიას ბონუსს აძლევენ. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარისხობრივი მაჩვენებლის შესრულებისთვის მომწოდებლისგან მიღებული ბონუსი პირდაპირ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან გამოიქვითება

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ანარიცხები**

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულება ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებაა.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა მოგება-ზარალის მემშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შემენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. მოგება-ზარალის მემშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: მოგება-ზარალის მემშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის არის სავალ ინსტრუმენტის ამორტიზებული

ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დირკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა მაგალითად დეფოლტი ან პროცენტის/მრითადი თანხის გადაუხდელობა; ან
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება ამოუღებადია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს (რომელიც კაპიტალშია დაგროვილი) შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგ., როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუშესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს, რომელსაც აღარ აღიარებს, შორის, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს, და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კომულაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები***ვალის ან საკუთარი კაპიტალის სახით კლასიფიკაცია***

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების უკუშესყიდვა აღიარდება უშუალოდ კაპიტალში და კაპიტალიდან გამოიქვითება. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმებისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი არ აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (წარმოდგენილი ნასესხები თანხების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისა და გადასახდელი დივიდენდების სახით) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

საწესდებო კაპიტალი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადახდილი საგადასახადო ავანსი და გადასახდელი გადასახადები

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული ამოუღებელი თანხების ანარიცხით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების

ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

6 ამონაგები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელსა და 2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის ამონაგები მოიცავდა შემდეგს:

	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ ი წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქცია	21,452	13,320
სასურსათო პროდუქცია	1,019	304
სულ	22,471	13,624

7 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელსა და 2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავდა შემდეგს:

	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ ი წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქცია	(16,522)	(10,602)
სასურსათო პროდუქცია	(856)	(291)
სულ	(17,378)	(10,893)

8 დისტრიბუციის ხარჯები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელსა და 2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ ი წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
--	---	--

თანამშრომელთა ხელფასი და დაკავშირებული ხარჯები	(1,647)	(1,022)
ტრანსპორტირების ხარჯი	(551)	(208)
იჯარა	(476)	(279)
ავტომობილების საექსპლუატაციო ხარჯი	(75)	(37)
ცვეთა და ამორტიზაცია	(66)	(24)
რეკლამის ხარჯი	(41)	(130)
სულ	(2,856)	(1,700)

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელსა და 2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ ი წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
თანამშრომელთა ხელფასი და დაკავშირებული ხარჯები	(920)	(323)
ცვეთა და ამორტიზაცია	(57)	(8)
იჯარა	(53)	(29)
სამივლინებო ხარჯები	(51)	(23)
დაზღვევის ხარჯი	(25)	(8)
უიმედო ვალები	16	(93)
საბანკო ხარჯები	(17)	(15)
პროფესიული მომსახურება	(13)	-
კომუნიკაცია	(11)	(8)
საკანცელარიო	(10)	(6)
სხვა	(108)	(64)
სულ	(1,249)	(577)

10 მოგების გადასახადი და საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

	2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ ი წელი	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	(26)	(122)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	(26)	(122)

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, როგორც მე-4 შენიშვნაშია ახსნილი, სხვაობა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებსა და ამ აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ორგანოების მიერ აღიარებას შორის, ასევე ამჟამად გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო კრედიტის გადატანა, წარმოქმნის დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზას შორის.

	2016 წ. 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	100
გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით	(15)
იმ მუხლების საგადასახადო გავლენა, რომლებიც არ არის გამოქვითვადი ან შეფასებადი საგადასახადო მიზნებისთვის	(107)
მოგების გადასახადის ხარჯი	(122)

11 გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		
ქონების გადასახადი	(2)	(2)
გადასახდელი დღგ	(80)	(10)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(32)	(40)
გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(114)	(52)

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მოვალეობები, ყველა გადასახადთან მიმართებით, მათ შორის კორპორაციული მოგების გადასახადი, და ყველა გადასახადის გადამხდელის გადასახადის გადახდები აღირიცხება ერთიან საგადასახადო ანგარიშში. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი, გარდა კორპორაციული მოგების გადასახადის აქტივისა, წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

12 ძირითადი საშუალებები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელსა და 2016 წლის 25 აპრილიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია:

	საოფისე ავეჯი, ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მარკეტინგის მოწყობილობ ები	სულ
თვითღირებულება 2016 წლის 25 აპრილს	-	-	-	-
დამატება	194	114	1	194
გასვლა	-	-	-	65
გადაცემა	-	3	-	3
ცვეთის ხარჯი	(17)	(13)	-	(21)
ცვეთის ხარჯი გასვლიდან	-	-	-	7
საბალანსო ღირებულება 2016 წ. 31 დეკემბერს	177	98	1	115
თვითღირებულება 2016 წ. 31 დეკემბერს	194	111	1	129
დაგროვილი ცვეთა	(17)	(13)	-	(14)
საბალანსო ღირებულება 2016 წ. 31 დეკემბერს	177	98	1	115
დამატება	29	680	-	42
გასვლა	-	-	-	23
გადაცემა	-	9	-	-
ცვეთის ხარჯი	(42)	(39)	-	(58)
დაგროვილი ცვეთა გასვლიდან	-	2	-	21
საბალანსო ღირებულება 2017 წ. 31 დეკემბერს	165	733	1	98
თვითღირებულება 2017 წ. 31 დეკემბერს	223	782	1	149
დაგროვილი ცვეთა	(58)	(49)	-	(51)
საბალანსო ღირებულება 2017 წ. 31 დეკემბერს	165	733	1	98

2017 და 2016 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას GEL 996 ათასი და GEL 391 ათასი საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები, შესაბამისად, სესხის უზრუნველყოფის სახით ჰქონდა გამოყენებული (შენიშვნა 18).

13 მარაგი

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მარაგის შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	2,867	4,466
საქონელი გზაში	213	-
სხვა	38	138
სულ	3,118	4,604

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას GEL 3,117 ათასი და GEL 4,604 ათასი საბალანსო ღირებულების მქონე მარაგები, შესაბამისად, სესხის უზრუნველყოფის სახით ჰქონდა გამოყენებული (შენიშვნა 18).

14 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია დებიტორული დავალიანების, ამოუღებადი თანხების ანარიცხების გარეშე, შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5,894	5,436
სხვა დებიტორული დავალიანება	176	5
მთლიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,070	5,441
შემცირებული: ანარიცხები ამოუღებადი თანხებისთვის	(78)	(93)
სულ ნეტო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,992	5,348

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მომხმარებლების საშუალო საკრედიტო პერიოდი იყო 97 და 143 დღე, შესაბამისად.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას GEL 5,992 ათასი და GEL 5,348 ათასი საბალანსო ღირებულების, შესაბამისად, დებიტორული დავალიანება გამოყენებული ჰქონდა სესხის უზრუნველყოფის სახით (შენიშვნა 18).

კომპანიამ ანარიცხი შექმნა 1 წელზე მეტი ხანდაზმულობის ყველა დებიტორული დავალიანებისათვის, რადგან წარსული გამოცდილების მიხედვით 1 წელზე ხანდაზმული დებიტორული დავალიანება, როგორც წესი, ამოუღებელია. 6 თვიდან 1 წლამდე ხანდაზმულობის დებიტორული დავალიანების ანარიცხი შექმნილია შეფასებული ამოუღებადი თანხების საფუძველზე, რაც განისაზღვრა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის ხელახლა შეფასება რეგულარულად ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღებადობის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს კრედიტის გაცემის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდში კრედიტის ხარისხის ცვლილებებს. საკრედიტო რისკის კონცენტრირება შეზღუდულია, რადგან მომხმარებელთა ბაზა დიდია და ერთმანეთთან დაუკავშირებელი. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საჭირო არ

არის საეჭვო ვალების ანარიცხის ოდენობაზე მეტი დამატებითი ანარიცხის შექმნა.

13 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

ამოუღებადი თანხების ცვლილება:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ნაშთი წლის დასაწყისში	93	-
დებიტორული დავალიანების აღიარებული გაუფასურების ზარალი	61	93
ადრე ანარიცხებში ასახული დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	(13)	-
ადრე ანარიცხებში ასახული დებიტორული დავალიანების აღდგენა	(64)	-
ნაშთი წლის დასასრულს	78	93

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

	2017 წ. 31 დეკემბერი		2016 წ. 31 დეკემბერი	
	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა დებიტორული დავალიანება	სავაჭრო დებიტორული დავალიანება	სხვა დებიტორული დავალიანება
<i>ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული</i>				
- 30 დღეზე ნაკლებით				
ვადაგადაცილებული	2,185	176	2,353	5
- 30 - 90 დღით				
ვადაგადაცილებული	2,660	-	2,098	-
სულ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	4,844	176	4,450	5
<i>ვადაგადაცილებული და გაუფასურებული</i>				
- 91 - 180 დღით				
ვადაგადაცილებული	1,005	-	911	-
- 181 - 360 დღით				
ვადაგადაცილებული	39	-	75	-
- 360 დღეზე მეტი ხნით				
ვადაგადაცილებული	5	-	-	-
სულ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული	1,049	-	986	-
<i>გამოკლებული გაუფასურების ანარიცხი</i>	(78)	-	(93)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,816	176	5,343	5

15 მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
მომსახურებისთვის გადახდილი ავანსი	9	5
მარაგისთვის გადახდილი ავანსი	-	106
სხვა გადახდილი ავანსი	29	21
სულ გადახდილი ავანსი	38	132

16 ფული და ფულის ეკვივალენტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ფული ბანკში	85	644
სულ	85	644

17 საწესდებო კაპიტალი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის დამტკიცებული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა GEL 7,587 ათას ლარს.

18 ნასესხები თანხები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ნასესხები თანხების შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
სს „თი ბი სი“ ბანკი	GEL	8%	1,283	1,490
შპს „ჯი დი ემი“	GEL	11%	-	528
სულ სესხები და ნასესხები თანხები			1,283	2,018
სესხებისა და ნასესხები თანხების მოკლევადიანი ნაწილი			1,283	211
სესხებისა და ნასესხები თანხების გრძელვადიანი ნაწილი			-	1,807
სულ სესხები და ნასესხები თანხები			1,283	2,018

სს „თი ბი სი“ ბანკისგან ნასესხები თანხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით, მარაგით და სავაჭრო დებიტორული დავალიანებით.

ნასესხები თანხების დაფარვის ვადებია:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ერთ თვეში დასაფარი	-	-
ერთიდან სამ თვემდე დასაფარი	-	211
სამიდან თორმეტ თვემდე დასაფარი	1,283	1,807
სულ ერთი წლის განმავლობაში დასაფარი თანხა	1,283	2,018
ერთიდან სამ წლამდე დასაფარი თანხა	-	-
სულ სესხები და ნასესხები თანხები	1,283	2,018

17 ნესესხები თანხები (გაგრძელება)

ნასესხები თანხების ცვლილება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში:

წმინდა ვალი 2016 წ. 25 აპრილს	-
ძირითადი თანხის დამატება	6,011
დარიცხული პროცენტი	558
გადახდილი ძირითადი თანხა	(4,522)
გადახდილი პროცენტი	(29)

წმინდა ვალი 2016 წ. 31 დეკემბერს	2,018
ძირითადი თანხის დამატება	20,608
დარიცხული პროცენტი	112
გადახდილი ძირითადი თანხა	(20,815)
გადახდილი პროცენტი	(640)
შესწორებები სავალუტო კურსის ცვლილებისთვის	-
წმინდა ვალი 2017 წ. 31 დეკემბერს	1,283

ნასესხები თანხების ცვლილება დაკავშირებულია კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის ბანკების საკრედიტო შეთანხმებების ფარგლებში მოკლევადიან გაცემებსა და გადახდებთან.

19 საიჯარო ვალდებულება

კომპანიას თავისი სატრანსპორტო საშუალებების ნაწილი ფინანსური იჯარით აქვს აღებული. იჯარის ვადა 3 წელი.

ფინანსური იჯარის ფარგლებში ყველა მოვალეობის საბაზისო საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია შესაბამისი სახელშეკრულებო თარიღებისთვის და წლიურ 11%-ს შეადგენს.

	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
არაუგვიანეს ერთი წლისა	232	11
ერთი წლის შემდეგ და არაუგვიანეს ხუთი წლისა	379	24
სულ	611	36
ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია, როგორც:		
- მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	232	11
- გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	379	24
სულ	611	36

20 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შესახებ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მარაგისთვის	413	1191
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მომსახურებისთვის	56	53
სხვა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	275	112

სულ

743

1,356

21 ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ, ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციისა და სათანადო შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, შეფასებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის საბაზრო მონაცემების ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია განსჯის გამოყენება. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები და ეკონომიკური პირობების გამო კვლავ შეზღუდულია ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მასშტაბი. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, ან ასახავდეს ზეწოლის ქვეშ გაყიდვის ოპერაციებს და ამგვარად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს (რომლის მიღებაც მოსალოდნელია), დისკონტირებულს მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებებთან, მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა დისკონტირება განხორციელდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

კაპიტალის რისკის მართვა – კომპანია ახორციელებს თავისი კაპიტალის მართვას, რათა უზრუნველყოს, რომ მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება, როგორც ფუნქციონერბადმა საწარმომ და იმავდროულად განახორციელოს კაპიტალის მფლობელის უკუგება ვალისა და კაპიტალის ოპტიმალურად დაბალანსების მეშვეობით. კომპანიის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. ამ მიმოხილვის შედეგების საფუძველზე კომპანია ზომებს იღებს თავისი მთლიანი კაპიტალის სტრუქტურის დასაბალანსებლად, დივიდენდების გადახდის, ასევე ახალი სესხების აღებისა და არსებული სესხების დაფარვის მეშვეობით.

ლევერაჟის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ნასესხები თანხები	1,283	2,018
ფული და ფულის ეკვივალენტები	(85)	(644)
წმინდა ნასესხები თანხები	1,198	1,374
კაპიტალი	7,506	7,565

GDCC LLC**Notes to the Financial Statements for the Year Ended 31 December 2017***(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)*

წმინდა ვალის კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტი	15.97%	18.17%
--	--------	--------

20 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, ფინანსურ იჯარასა და სხვა კრედიტორულ დავალიანებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი დანიშნულებაა კომპანის ოპერაციებისათვის დაფინანსების მოზიდვა. კომპანიას შემდეგი ფინანსური აქტივები აქვს: სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ეკვივალენტები.

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	85	644
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,992	5348
სულ ფინანსური აქტივები	6,077	5,992

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები თანხები	1,283	2,018
საიჯარო ვალდებულება	611	35
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	743	1,356
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,638	3,410

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკია რისკი, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს სავალუტო კურსების ცვლილება. კომპანია გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში ახორციელებს. კომპანია წარმოებულებს არ იყენებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ:

	2017 წ. 31 დეკემბერი		2016 წ. 31 დეკემბერი	
	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044 GEL	USD 1 = 2.6468 GEL	EUR 1 = 2.7940 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	504
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	504
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	610	-	35	645
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	114	332	25	471

GDCC LLC**Notes to the Financial Statements for the Year Ended 31 December 2017***(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)*

სულ ფინანსური ვალდებულებები	724	332	60	1,116
სულ ნეტო პოზიცია	(724)	(332)	(60)	(612)

20 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის სენსიტიურობა სამუშაო ვალუტის უცხოური ვალუტის მიმართ 20%-ით გამყარების/გაუფასურების შემთხვევაში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის. ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო თარიღით შესაბამის უცხოურ ვალუტებში გამოსახულ ფულად მუხლებზე.

2017 წ. 31 დეკემბერს:

	USD -ის გავლენა		EUR -ის გავლენა	
	GEL/USD + 20%	GEL/USD – 20%	GEL/EUR + 20%	GEL/EUR – 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(145)	145	(66)	66
გავლენა კაპიტალზე	(123)	123	(56)	56

2016 წ. 31 დეკემბერს:

	USD -ის გავლენა		EUR -ის გავლენა	
	GEL/USD + 20%	GEL/USD – 20%	GEL/EUR + 20%	GEL/EUR – 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(12)	12	(137)	137
გავლენა კაპიტალზე	(10)	10	(116)	116

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი შეზღუდულია, რადგან ის მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით სესხულობს თანხებს.

სენსიტიურობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი დაშვების ცვლილების გავლენა მაშინ, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. თუმცა, რეალობაში არსებობს ამ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის კორელაცია. აღსანიშნავია ასევე, რომ ეს სენსიტიურობა წრფივი არ არის და ამ შედეგებიდან უფრო მეტი ან ნაკლები გავლენის ინტერპოლაცია ან ექსტრაპოლაცია არ შეიძლება.

სენსიტიურობის ანალიზში გათვალისწინებული არ არის, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს იმ დროს, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობა დაფიქსირდება. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის მიზანია ბაზრის მერყეობის რისკის მართვა. ინვესტიციების ბაზარი იცვლება სხვადასხვა დონის გარკვეული მიზეზების გამო და ხელმძღვანელობის ქმედებები შეიძლება მოიცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის განაწილების შეცვლასა და სხვა დამცავ ზომებს. შედეგად, დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება ფაქტობრივად არავითარი გავლენა არ იქონიოს ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ბალანსში საბაზრო ღირებულებით აისახება. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებული შეფასების საფუძველი განაპირობებს სააქციო კაპიტალის მერყეობას.

ზემოთ მოცემული სენსიტიურობის ანალიზის სხვა ნაკლოვანებები მოიცავს სავარაუდო ბაზრის მოძრაობებს, რათა წარმოჩინდეს პოტენციური რისკი, რაც წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის შეხედულებას შესაძლო მოკლევადიან საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დანამდვილებით წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია; და დაშვება, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთნაირად იცვლება.

საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკი არის მომხმარებლის დეფოლტის ან მის მიერ კომპანიის წინაშე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის რისკი, რაც კომპანიისთვის ზარალის წარმოქმნას

განაპირობებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს კომპანიის მქასიმალურ საკრედიტო რისკს. ყველა კომპანია ახორციელებს დამკვეთის დამტკიცების პროცედურებს კომპანიასთან შეთანხმების გაფორმებამდე, რის შედეგად შეირჩევა მხოლოდ კრედიტუნარიანი დამკვეთები. კომპანიას თავისი მომხმარებლებისთვის საკრედიტო ზღვრები აქვს დაწესებული.

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ყველა ვალდებულების დაფარვას მაშინ, როდესაც დადგება მათი დაფარვის ვადა.

21 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია დეტალური ინფორმაცია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებისა და გადახდის პერიოდების შესახებ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღის გამოყენებით, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს როგორც პროცენტის, ისე ძირითადი თანხის გადახდებს.

	1 თვეზე ნაკლები	1 - 3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2017 წ. 31 დეკემბერი						
ნასესხები თანხები	-	-	1,283	-	-	1,283
საიჯარო ვალდებულება	16	34	181	379	-	610
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	652	11	80	-	-	743
სულ ფინანსური ვალდებულებები	668	45	1,544	379	-	2,636
2016 წ. 31 დეკემბერი						
ნასესხები თანხები	-	211	1,807	-	-	2,018
საიჯარო ვალდებულება	-	2	9	24	-	35
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,278	5	74	-	-	1,357
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,278	218	1,890	24	-	3,410

22 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და დასაფარი ნაშთები

დაკავშირებული მხარეები მოიცავენ კომპანიის მესაკუთრეებს, საერთო მფლობელობაში არსებულ და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ძირითად ხელმძღვანელ პირებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება განახორციელონ ოპერაციები, რომლებსაც დაუკავშირებელი მხარეები არ განახორციელებდნენ და დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის ოპერაციების პირობებისაგან.

თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი ნაშთები და ოპერაციები ჰქონდა:

	მესაკუთრე ები	კომპანიასთან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
2017 წ. 31 დეკემბერი				
ამონაგები	-	368	-	368

2016 წ. 31 დეკემბერი

ამონაგები	-	485	-	485
სხვა შემოსავალი	-	192	-	192
დისტრიბუციის ხარჯები	-	21	-	21
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	5	-	5
ფინანსური დანახარჯი	-	556	-	556

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება გახლდათ დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები და 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში GEL 386 ათასი და GEL 90 ათასი ლარი შეადგინა, შესაბამისად.

23 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი მოვლენები

ვალდებულებები – კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბერს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები.

სასამართლო დავები - 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები – ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას სჯერა, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო ორგანოს შეუძლია სამი საგადასახადო წლის მონაცემების შემოწმება.

საოპერაციო გარემო – ისეთ განვითარებად ბაზრებს, როგორც საქართველოა, ახასიათებთ განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებული რისკები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულირება, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, ისევ სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ექვემდებარება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

გარანტიები – კომპანიას 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს ჰქონდა დასაფარი გარანტიები, GEL 518 ათასი და GEL 2,375 ათასი, შესაბამისად. გარანტიები აღებულ იქნა მარაგის კონსაინმენტით შესყიდვისთვის.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა რაიმე მოვლენა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების შესწორების ან გამჟღავნების საჭიროება.

შპს „ჯი დი სი“

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

შპს „ჯი დი სი“ (შემდეგში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2016 წლის 25 აპრილს, კოსმეტიკური, სასურსათო და სილამაზის პროდუქტების, სურსათისა და სხვა სამომხმარებლო საქონლის საქართველოში იმპორტისა და დისტრიბუციის მიზნით.

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა მომწოდებლების პროდუქციის ფართო სპექტრის იმპორტსა და დისტრიბუციას. კომპანია სხვადასხვა რეგიონში ხუთ საწყობს ქირაობს საქართველოს ტერიტორიაზე სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, ისევე როგორც ჰიპერმარკეტების მოსამარაგებლად. ჩვენ საცალო მოვაჭრეებს ვაძლევთ მარკეტინგის პროგრამების, საცალო ქსელში გაყიდვების წახალისებისა და პროდუქტის კატეგორიზაციის მართვის მომსახურების შედეგად სარგებლის მიღების საშუალებას.

კომპანია ახალი დაფუძნებულია, მაგრამ სწრაფად მზარდია და დიდი პერსპექტივები აქვს. 2017 წელს კომპანიის ამონაგებმა GEL 22,471 ათასი შეადგინა. 2017 წელს მიღებულ იქნა ზარალი GEL 58 ათასის ოდენობით. 2017 წელს მთლიანი მოგების მარჟა იყო 22%. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა გახლდათ 173.

2017 წელს ზარალის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი იყო ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება. ამასთან, მოძველებული მარაგის ჩამოწერა განაპირობა მოკლევადიანი პროდუქტების შესყიდვამ.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

2018 წელს კომპანია გეგმავს რამდენიმე ახალი ბრენდის დისტრიბუციის დაწყებას. 2018 წელს კომპანია აქცენტს გააკეთებს მრავალი პროდუქციისგან შემცველი პორტფელის შექმნასა და ბაზრის განვითარებაზე.

ბაზრის დინამიურობის გათვალისწინებით ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: 1) გეოგრაფიული გაფართოება დისტრიბუციის ახალი ცენტრების დაფუძნებით, 2) პროდუქტების სპექტრის გაფართოება, და 3) ინვესტიციების განუწყვეტლივ განხორციელება ჩვენს

საინფორმაციო ტექნოლოგიებში, დიფერენცირებისა და მომხმარებელთა ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნების მიზნით.

3. კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა


2017 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არა აქვს საიმე იურიდიული ფილიალი. სტრუქტურული ქვედანაყოფები მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში და კახეთში. ბათუმში, ქუთაისში, გორსა და კახეთში განხორციელებული ოპერაციები, ისევე როგორც საქონლის სტრუქტურა, იგივეა რაც თბილისში.


5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი:




2017 წელს ამონაგები და მთლიანი მოგება გაიზარდა 2016 წელთან შედარებით, რაც განაპირობა ფაქტმა, რომ კომპანიამ საქმიანობა 2016 წლის 25 აპრილს დაიწყო. კომპანიამ ამონაგების მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია განვითარების ადრეულ ეტაპზე. მიზნობრივი მარკეტინგი კომპანიას ეხმარება კონკრეტული მომხმარებლების ხელმისაწვდომობაში, სარეკლამო შეტყობინებებისა და წამახალისებელი

შეთავაზებების მეშვეობით, რომლებიც მორგებულია ყიდვის ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს ახალ წინადადებებს.



2017 წელს კომპანიამ გაზარდა მომწოდებლებისგან შესყიდვები, დამატებითი ფასდათმობები მიიღო და გარკვეული ეკონომიკური უპირატესობა მოიპოვა მომწოდებლებისგან ბითუმად ყიდვის შედეგად. 2017 წელს გაზრდილი წმინდა ზარალის ძირითადი მიზეზი იყო სავალუტო კურსის მერყეობა და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება. ზარალი მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლის ჩამოწერის შედეგად, რაც გამოიწვია მარაგში მოძველებული და გაფუჭებული საქონლის არსებობამ.

ინფორმაცია ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ:



6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2017 წელს კომპანიას თავისი აქციები არ შეუძენია.

7. დამატებით განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ

2017 წელს კომპანიამ დაიწყო სავალუტო ფორვარდული შეთანხმება ადგილობრივ ბანკთან, რამაც გააუმჯობესა ძირითადი მომწოდებლებისათვის უცხოურ ვალუტაში გადახდებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების მართვა.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანიის გაყიდვების უმეტესი ნაწილი საკრედიტო პირობებით ხორციელდება. მომხმარებლისთვის კრედიტის ხანგრძლივობა მერყეობს 28 დღიდან 90 დღემდე.

მომწოდებლების კრედიტის ხანგრძლივობა მერყეობს 0-დან 45 დღემდე, ძალიან მცირე მომწოდებლებთან გამოიყენება წინასწარი გადახდა.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა დაკავშირებულია შემდეგ საკიხებთან:

სავალუტო რისკი - საქონლის შესყიდვების ძირითადი ნაწილი უცხო ქვეყნებზე მოდის, ხოლო გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაშია. არსებობს პოტენციური ზარალის მიღების რისკი, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო. ამ ფაქტის გამო პრობლემას წარმოადგენს ფასის კორექტირება.

ლიკვიდობის რისკი - კომპანიის ლიკვიდობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი უნარი, შეინარჩუნოს საკმარისი საბრუნავი კაპიტალი. მომხმარებლის საკრედიტო რისკი და ბანკის კრედიტის მუდმივი ხელმისაწვდომობა გავლენას ახდენს ჩვენი კომპანიისა და ზოგადად დარგის ლიკვიდობის მდგომარეობაზე. კომპანია ამჟამად არ ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას. შესაბამისად, ფასების მნიშვნელოვან ცვლილებებს შეუძლია და ახდენს კიდევ გავლენას კომპანიის მოგებიანობაზე. თუმცა, კომპანიას სჯერა, რომ მისი ლიკვიდობის მდგომარეობა მომავალში ადეკვატური იქნება ოპერაციების განხორციელებისთვის. საოპერაციო გარემოს მოულოდნელად შეცვლამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ამონაგებსა და მის უნარზე, ამოიღოს მომხმარებელთა დებიტორული დავალიანებები და ბანკისგან მიიღოს კრედიტი.

GDCC LLC

**International Financial Reporting Standards
Financial Statements and
Independent Auditor's Report**

31 December 2017

- the information given in the Management Report for the financial year for which the financial statements are prepared is consistent with the financial statements; and
- the Management Report includes the information required by Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing and complies with respective regulatory normative acts.

Responsibilities of management and those charged with governance for the financial statements

Management is responsible for the preparation and fair presentation of the financial statements in accordance with International Financial Reporting Standards and with the requirements of the Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing, and for such internal control as management determines is necessary to enable the preparation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error.

In preparing the financial statements, management is responsible for assessing the Company's ability to continue as a going concern, disclosing, as applicable, matters related to going concern and using the going concern basis of accounting unless management either intends to liquidate the Company or to cease operations, or has no realistic alternative but to do so.

Those charged with governance are responsible for overseeing the Company's financial reporting process.

Auditor's responsibilities for the audit of the financial statements

Our objectives are to obtain reasonable assurance about whether the financial statements as a whole are free from material misstatement, whether due to fraud or error, and to issue an auditor's report that includes our opinion. Reasonable assurance is a high level of assurance, but is not a guarantee that an audit conducted in accordance with ISAs will always detect a material misstatement when it exists. Misstatements can arise from fraud or error and are considered material if, individually or in the aggregate, they could reasonably be expected to influence the economic decisions of users taken on the basis of these financial statements.

As part of an audit in accordance with ISAs, we exercise professional judgment and maintain professional scepticism throughout the audit. We also:

- Identify and assess the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error, design and perform audit procedures responsive to those risks, and obtain audit evidence that is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion. The risk of not detecting a material misstatement resulting from fraud is higher than for one resulting from error, as fraud may involve collusion, forgery, intentional omissions, misrepresentations, or the override of internal control.
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(758)	(538)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		7	5
საიჯარო ვალდებულებების გადახდილი ავანსი		547	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(204)	(533)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები თანხებიდან	18	20,609	6,011
ნასესხები თანხების დაბრუნება	18	(20,815)	(4,522)
კაპიტალის შენატანი აქციონერების მიერ		-	7,587
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(206)	9,077
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფოლსა და ფულის კვეთვებზე		(30)	(53)

The accompanying notes on pages 8 to 32 are an integral part of these financial statements.

GDCC LLC**Statement of Cash Flows***(Figures in the tables are given in thousands of Georgian Lari)*

ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის/პერიოდის დასაწყისში	16	644	-
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის/პერიოდის დასასრულს	16	85	644

The accompanying notes on pages 8 to 32 are an integral part of these financial statements.

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი დი სისი“ (შემდეგში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობების კომპანიაა, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2016 წლის 25 აპრილს, კომპეტითური, სასურსათო და სხვა სამომხმარებლო საქონლის საქართველოში იმპორტისა და დისტრიბუციის მიზნით. კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა და თბილისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 406175936. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, მოსკოვის გამზირი 318.

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა მომწოდებლების პროდუქციის ფართო სპექტრის იმპორტსა და დისტრიბუციას. კომპანია სხვადასხვა რეგიონში ოთხ საწყობს ქირაობს საქართველოს ტერიტორიაზე სუპერმარკეტებისა და მცირე სასურსათო მაღაზიების, ისევე როგორც ჰიპერმარკეტების მოსამარაგებლად.

კომპანიამ განაგრძო საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის ბიზნესი - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - რომელმაც 2016 წელს რეორგანიზაცია განახორციელდა. 2016 წლის მაისში შპს „ქართულმა მარკეტინგულმა-სადისტრიბუციო კომპანიამ“ სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქტების მარაგი და სვაჭრო დებიტორული დავალიანება გაიყიდა შპს „ჯიდისისიზე“. შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ სილამაზისა და ჰიგიენის პროდუქტების მომწოდებლებთან ხელმოწერილი შეთანხმებები შეწყდა და მათთან ახალი შეთანხმებები გააფორმა შპს „ჯიდისისიმ“.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და სააქციო კაპიტალის 100%-ის მფლობელი იყო "KUGO Investments Limited" (საიდენტიფიკაციო კოდი: HE354672, მისამართი: კვიპროსი, ნიქოზია, იფიგენიას ქ. # 48a CY2007).

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 173 და 146, შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, თბილისი, მოსკოვის გამზირი #25.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2 ზუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყია.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ცვლილებები შევიდა 2014 წლის ივლისში და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტის ძირითადი საკითხებია:

- მოითხოვება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია შეფასების სამ კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL).
- სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები,

რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

- წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.
- ბასს 39-ში მოცემული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება გახლავთ ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით კლასიფიცირებული ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენა სხვა სრულ შემოსავალში.

- 2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)
- ფასს 9-ით შემოღებულია გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი. ეს გახლავთ 'სამეტაპიანი' მიდგომა, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარებიდან დაწყებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ცვლილებას. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს, რომ საწარმოებმა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით უნდა აღრიცხოთ ზარალი იმ ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას, რომელთა საკრედიტო მდგომარეობა არ არის გაუფასურებული (ან მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის). როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, გაუფასურების შეფასება ხდება მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით და არა 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ოდენობით. აღნიშნული მოდელი მოიცავს საოპერაციო დონეზე გამარტივებებს საიჯარო და სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, აღრიცხვის რისკის მართვასთან უფრო მეტად დასაკავშირებლად. სტანდარტი საწარმოებს უზრუნველყოფს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანით ფასს 9-ში მოცემული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასა და ზასს 39-ის მოთხოვნების გამოყენებას შორის, ყველა ჰეჯირებისათვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ეს სტანდარტი მკრო ჰეჯირების აღრიცხვას არ ეხება.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე და აგრეთვე აღნიშნული თარიღით არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის 2018 წლის 1 იანვარს მიღებიდან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულის (FVPL) კლასიფიკაციის მქონე ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებებისა, რაც მიკუთვნებადია საკრედიტო რისკზე და აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ახალი სტანდარტით შემოღებულია ასევე განვრცობილი გამჟღავნების მოთხოვნები და ცვლილებები წარდგენაში. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული განაპირობებს კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ განმარტებითი შენიშვნების ხასიათისა და მოცულობის ცვლილებას, განსაკუთრებით ახალი სტანდარტის შემოღების წელს.

მომ. ზეი-ი

ფასს 15 - მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ახალი სტანდარტით შემოღებულია ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ შემოსავალი უნდა აღიარდეს საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას, გარიგების ფასით. საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც გამორჩეულია, ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ან ფასდათმობა ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკეულ ელემენტებზე. როდესაც ანაზღაურება ცვალებადია რაიმე მიზეზის გამო, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ მათი ანულისების მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს. კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება უნდა განხორციელდეს და იმ პერიოდის განმავლობაში უნდა მოხდეს მათი ამორტიზება, როდესაც მიიღება კონტრაქტებიდან წარმოქმნილი სარგებელი. ცვლილებები ფასს 15-ში - მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგები (გამოცემულია 2016 წლის 12 აპრილს, ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ცვლილებებით არ იცვლება სტანდარტის საბაზისო პრინციპები, მაგრამ ახსნილია, თუ როგორ უნდა იქნეს ეს პრინციპები გამოყენებული. ცვლილებებით ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის შედეგის (საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის გადაცემის დაპირება) მოვალეობის იდენტიფიცირება კონტრაქტში; როგორ უნდა განისაზღვროს კომპანია ძირითად საწარმოს წარმოდგენს (საქონლის ან მომსახურების მიწოდებელი) თუ აგენტს (პასუხისმგებელი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზებაზე); და როგორ უნდა განისაზღვროს ლიცენზიის მინიჭებიდან ამონაგები დროის მომენტში უნდა აღიარდეს, თუ დროის განმავლობაში. გარდა აღნიშნული ახსნისა, ცვლილებები მოიცავს აგრეთვე ორ დამატებით გათავისუფლებას, რათა შემცირდეს დანახარჯები და სირთულე კომპანიისათვის, რომელიც პირველად იყენებს ახალ სტანდარტს.

ფასს 15-ში მოცემული გადასვლის დებულებების შესაბამისად კომპანიამ არჩია გადასვლის გამარტივებული მეთოდი, გადასვლის ეფექტის 2018 წლის 1 იანვარს აღიარებით ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც იქნება პირველი წელი, როდესაც კომპანია გამოიყენებს ფასს 15-ს.

კომპანია გეგმავს ნებადართული გამარტივებული გარდამავალი პერიოდის პრაქტიკული მეთოდის გამოყენებას. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად გამოიყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც არ არის დასრულებული მისი თავდაპირველი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი).

ფასს 15-ის მიღება გამოიწვევს ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული კომპანიის ამონაგების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური კონტრაქტების პირობების და იმ აფექტების და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობდა ამ თარიღით, გადასვლის გამარტივებული მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელოდა მნიშვნელოვან გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვარს ახალი სტანდარტის მიღების შედეგად.

ფასს 15-ის მიღების შედეგად მოსალოდნელი ძირითადი ცვლილებები აღწერილია ქვემოთ:

თქვენი ხელს

2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

- კონტრაქტების ცვლილებების აღრიცხვა,
- იდენტიფიცირებული დამატებითი საქმიანობის შედეგების მოვალეობები,
- ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა,
- მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის აღრიცხვა,
- მომხმარებელთა ერთგულების პროგრამების აღრიცხვა,
- ამონაგების აღიარების ვადების ცვლილება (დროთა განმავლობაში აღიარებიდან დროის მომენტში აღიარებაზე გადასვლა და პირიქით),
- თანხის დაბრუნებების აღრიცხვა,
- ლიცენზიების აღრიცხვა,
- კონტრაქტის გაფორმებისთვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების აღრიცხვა,
- კონტრაქტის აქტივების და კონტრაქტის ვალდებულებების წარდგენა,
- სხვა.

ხელმძღვანელობა არ მოელის იმ თანხების შესწორებებს, რომლებიც აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 1 იანვარს, რაც წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს 15-ის საწყისი გამოყენების თარიღს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს გახლავთ კომპანიის ხელმძღვანელობის წინასწარი შეხედულება და შესაძლებელია, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები განსხვავდებოდეს მისგან.

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ

მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფაისკ 22 "უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ ინტერპრეტაციაში განხილულია, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ოპერაციის თარიღი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების შესახებ სტანდარტის, ბასს 21, გამოყენებისას. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება როდესაც საწარმო ანაზღაურებას ან იხდის, ან იღებს წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ინტერპრეტაციაში მითითებულია, რომ ოპერაციის თარიღი არის თარიღი, როდესაც საწარმო ახორციელებს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად წარმოქმნილი არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების საწყის აღიარებას. თუ ავანსად მრავალი გადახდა ან თანხის მრავალი მიღება განხორციელდა, ინტერპრეტაციით მოითხოვება, რომ საწარმომ ოპერაციის თარიღი განსაზღვროს თითოეული საავანსო ანაზღაურების გადახდის ან ავანსის თანხის მიღებისთვის. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

თიანე ხეივანი

2 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფასიკ 23 "განსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა.

საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

მოსალოდნელი არ არის, რომ ქვემოთ მოცემულმა ბუღალტრული აღრიცხვის ახალმა ოფიციალურმა დოკუმენტებმა არსებითი გავლენას იქონიოს კომპანიაზე:

- აქტივების გაყიდვა ან შენატანები ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის იმ თარიღით ან მას შემდეგ დაწყებულ წლიური პერიოდებისათვის, რომელსაც განსაზღვრავს ბასსი).
- ცვლილებები ფასს 2-ში - წილობრივი გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფასს 9-ის, - ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს 4-თან - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ცვლილებები ფასს 4-ში (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის ალტერნატივას აირჩევს).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა - ცვლილებები ბასს 40-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გადახდილი ავანსების მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- გრძელვადიანი წილი მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებში - ცვლილებები ბასს 28-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, არ არის მოსალოდნელი, რომ აღნიშნული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შემდეგი შეცვლილი სტანდარტები, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფზე:

- გამყდვენების ინიციატივა – ცვლილებები ბასს 7-ში (გამოცემულია 2016 წლის 29 იანვარს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ახალი გამყდვენებები ასახულია მე-20 შენიშვნაში.
- გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებული ზარალისთვის – ცვლილებები ბასს 12-ში (გამოცემულია 2016 წლის 19 იანვარს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 12-ში, რაც ასახულია ფასს-ების წლიური გაუმჯობესების 2014-2016 წწ. ციკლში (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია ფუნქციონირებადი საწარმოა და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით. პირვანდელი ღირებულება ძირითადად ემყარება აქტივების საწარმოო გადაცემული კომპენსაციის რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას, მიუხედავად იმისა, ეს ფასები ბაზარზე უშუალოდ დაკვირვებადია თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების რეალური

ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს აქტივისა და ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ შეფასების თარიღით აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის რეალური ღირებულების შეფასება კლასიფიცირდება 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის ჯგუფებად, რაც განისაზღვრება რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებული ინფორმაციის დაკვირვებადობისა და მთლიანად რეალურ ღირებულებაში მისი მნიშვნელობის საფუძველზე, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

- 1-ლი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, რომლის მიღება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღით;
- მე-2 დონის ინფორმაცია არის 1-ელ დონეში გამოყენებული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია; და
- მე-3 დონის ინფორმაცია დაკვირვებადი არ არის მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის.

არსებული საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი. როგორც 1-ელ შენიშვნაში იყო მითითებული, კომპანია აგრძელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - რომელმაც რეორგანიზაცია განახორციელა 2016 წელს, ბიზნესს. ბიზნესის გადაცემა, რომელშიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები მონაწილეობდნენ, აღირიცხა არსებული საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით, რომელიც პერსპექტიულად იქნა გამოყენებული - ანუ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსურ შედეგებს ბიზნესის გადაცემის თარიღიდან.

ამ მეთოდის მიხედვით აქტივები და ვალდებულებები გადაცემულ იქნა წინამორბედი მფლობელი კომპანიის საბალანსო ღირებულებით. წინამორბედი კომპანია - შპს „ქართული მარკეტინგული-სადისტრიბუციო კომპანიის“ - მიიჩნევა უმაღლეს საანგარიშგებო საწარმოდ, რომელმაც განახორციელა ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდირება. გადაცემული წმინდა აქტივების ფასს-ის შესაბამის საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი იურიდიული დოკუმენტებით გადაცემისათვის მიღებულ კომპენსაციას შორის სხვაობა აღირიცხება კაპიტალში, გაუნაწილებელი მოგების კორექტირების მეშვეობით.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ხელმოწერა

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის რალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებულ მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია საქონლის გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, როდესაც იჯარის პირობებით საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში ხარჯებში წრფივი მეთოდით აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვა სისტემური საფუძველი, რომელიც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის დროის განმავლობაში მოხმარების უფრო რეპრეზენტაციულია. საოპერაციო იჯარის ფარგლებში წარმოქმნილი პირობითი იჯარა ხარჯის სახით აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

საოპერაციო საიჯარო ურთიერთობის დაწყებისთვის წახალისების მიღების შემთხვევაში იგი აღიარდება ვალდებულების სახით. ამ წახალისების მთლიანი სარგებელი წრფივი მეთოდით აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვა სისტემური საფუძველი, რომელიც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის დროის განმავლობაში მოხმარების უფრო რეპრეზენტაციულია.

ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილი აქტივები თავდაპირველად კომპანიის აქტივების სახით

აღიარდება საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას მათი რეალური ღირებულებით, ან, თუ ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადახდების დისკონტირებული ღირებულებით. მეიჯარისადმი შესაბამისი ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური იჯარის ვალდებულების სახით.

საიჯარო გადახდები გადანაწილდება ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის, ისე რომ, მიღწეულ იქნეს ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე მუდმივი საპროცენტო განაკვეთი. ფინანსური ხარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის პირდაპირ მიკუთვნება კვალიფიციურ აქტივზე, როდესაც ის კაპიტალიზდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ კომპანიის საერთო პოლიტიკის შესაბამისად.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებული ვალუტით (უცხოური ვალუტა) განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	2017 წ. 31 დეკემბერი	2016 წ. 31 დეკემბერი
USD/GEL	2.5922	2.6468
EUR/GEL	3.1044	2.7940

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი / (კრედიტი) მოიცავდა მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რაც აღიარდებოდა წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან დაკავშირებული იყო იმ ოპერაციებთან, რომლებიც ასევე სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში აღიარდა იმავე ან სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადია თანხა, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გადაიხდებოდა საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან მიიღებოდა მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდებოდა საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახებოდა ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გაგლენას არ ახდენდა არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდებოდა იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაში იყო ან შემდეგში შევიდოდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდებოდა იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდებოდა ან გამოყენებული იქნებოდა შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდებოდა და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნებოდა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გადაიფარებოდა, როდესაც

არსებობდა მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებული იყო მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებული იყო იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არსებობდა ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

თქმ. ხაგიბი

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აუასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება უფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებელ შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის; (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის

დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

შემდეგ კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ გაუმჯობესებებსა და ჩანაცვლებებზე გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც ზრდიან აქტივების მომსახურების ვადას ან მათ მიერ ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. რემონტი და საექსპლუატაციო დანახარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს, გაწევისას აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	ცვეთის განაკვეთები
სატრანსპორტო საშუალებები	20%
საოფისე ინვენტარი	20%
მარკეტინგის მოწყობილობები	50%
სხვა	20%

თქვენი ხელმოწერა

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთადი ღრებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 15%-იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის ინდეტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში.

გაუფასურების ზარალის ანულირება მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

მარაგი

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში- პირველი გასავალში“ (FIFO) მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები. მომწოდებლები კომპანიას ბონუსს აძლევენ. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარისხობრივი მაჩვენებლის შესრულებისთვის მომწოდებლისგან მიღებული ბონუსი პირდაპირ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებიდან გამოიქვითება.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსევა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შემენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული

დირეზულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში.

4 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დირკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები; ან
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა მაგალითად დეფოლტი ან პროცენტის/პრიორადი თანხის გადაუხდელობა; ან
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანება, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანება ამოუღებელია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

